

აითი აკადემია STEP

სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2029)

შინაარსი

შესავალი 2

„აითი აკადემია სტეპი“-ს შესახებ 3

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია 4

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები 6

სტრატეგიული მიმართულება I - სასწავლო პროცესის და სასკოლო სერვისების განვითარება 7

სტრატეგიული მიმართულება II. ინსტიტუციური განვითარება 8

სტრატეგიული მიმართულება III. სასკოლო კამპუსის განვითარება 9

შესავალი

სტრატეგიული მენეჯმენტი ორიენტირებულია ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის მაჩვენებლის გაზრდასა და, ზოგადად, კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებაზე. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „აითი აკადემია სტეპის“ ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმას, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების სკოლის (შემდგომში - სკოლა) მისიის შესაბამისად, სტრატეგიულ მიზნებს და მათი მიღწევის გზებს.

სტრატეგიული განვითარების გეგმა ეფუძნება სკოლის შესაძლებლობების, ასევე, კონკურენტული გამოწვევებისა და ცვალებადი გარემოს პროგნოზირებად ანალიზს. სტრატეგიის ჩამოყალიბებით სკოლა მიზნად ისახავს, საკუთარი რესურსების ეფექტიანად გამოყენების გზით, საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას და საგანმანათლებლო ბაზარზე საკუთარი ადგილის დამკვიდრებას.

„აითი აკადემია სტეპი“-ს შესახებ

შპს „აითი აკადემია სტეპი“ ქართულ ბაზარზე 2016 წლიდან ოპერირებს და ზრუნავს ტექნოლოგიური მიმართულებით მოზარდებისა და ზრდასრულების პროფესიული უნარების განვითარებასა და გლობალური დასაქმების ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის ზრდაზე.

ორგანიზაცია წარმოადგენს საერთაშორისო კომპანიის - IT Academy STEP პარნიორს, რომლის კურსდამთავრებულები წარმოდგენილები არიან 1500-ზე მეტ კომპანიაში, მათ შორის, ისეთ გიგანტურ კომპანიებში, როგორებიცაა: Microsoft, facebook, ebay, DELL, amazon და ა.შ.

ორგანიზაციის წარმატება ხარისხზე ორიენტირებულ მიდგომაზეა დაფუძნებული, რაც გულისხმობს პროფესიონალი პედაგოგების, თანამედროვე სასწავლო პროგრამების და შესაბამისი ინფრასტრუქტურის სინთეზით პოზიტიური საგანამნათლებლო გარემოს ჩამოყალიბებას. საუკეთესო შედეგების მიღწევას ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ ორგანიზაციის პარტნიორები არიან მსხვილი დამსაქმებლები, რომლებიც ჩართულები არიან საგანმანათლებლო პროცესში და მიღწეული სასწავლო შედეგების შეფასებაში. პრაქტიკაზე ორინეტირებულობა და სანდოობის მაღალი ხარისხი უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა წარმატებით დასაქმებას.

სასწავლო პროცესში, გარდა ციფრული ტექნოლოგიებისა, ინტეგრირებულია უცხო ენებისა და ბიზნესის საფუძვლების სწავლება. სასწავლო პროცესის გამორჩეული მახასიათებელია ინდივიდუალური მიდგომების გამოყენება ბენეფიციართა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, მათი იდეების მხარდაჭერა, რაც პროცესს მაქსიმალურად საინტერესოს ხდის.

დღეისათვის ორგანიზაცია მიზნად ისახავს, მოიპოვოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და საკუთარი წარმატებული გამოცდილება განავრცოს სასკოლო სერვისებზე.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ეფუძნება ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და რისკების ანალიზს.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის მსვლელობას, ეტაპებს, პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართვის გზებსა და მათ როლს.

სტრატეგიული პროცესის დაგეგმვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი და სკოლის მმართველი საბჭო. სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებაში სამომავლოდ, საკუთარი კომპეტენციისა და შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, ჩართულნი იქნებიან ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულები, სასკოლო საზოგადოება და სხვა დაინტერესებული პირები.

სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების ამ ეტაპზე სკოლის გუნდი სრულად ფორმირებული არ არის, შესაბამისად, სტრატეგიის შემუშავება განხორციელდა სკოლის დირექტორის, მმართველი საბჭოსა და მოწვეული კონსულტანტის ჩართულობით.

სკოლის პერსონალის სრულად დაკომპლექტებისა და ფუნქციონირების დაწყების კვალდაკვალ, დაგეგმილია არსებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად განვითარების გეგმის გადახედვა ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით.

ამ ეტაპზე, წინარე მოკვლევიდან გამომდინარე, ორგანიზაციის ძლიერ მხარეებად იდენტიფიცირდა: კეთილმოწყობილი საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა, რაც სტრატეგიული დაგეგმვის ვადით სრულფასოვანი საგანმანათლებლო სივრცის მოწყობიბს შესაძლებლობას იძლევა, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, ეფექტიანი მარკეტინგული სტრატეგიის მართვის გამოცდილება და მმართველი გუნდის მაღალი კომპეტენცია განათლების მართვის საკითხებში. რაც შეეხება გასაუმჯობესებლ მხარეებს, ისინი დაკავშირებულია სკოლის შემდგომ განვითარებასთან და ძირითადად დაკავშირებულია სპორტული ინფრასტრუქტურის დახვეწასა და სპორტული აქტივობებისათვის დამატებითი დამხმარე სივრცეების მოწყობასთან.

ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რიგი შესაძლებლობები, რომლებიც დაკავშირებულია სკოლის გაცხადებული სპეციფიკის რეალიზებასთან, სასკოლო კურიკულიმის მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში მაქსიმალურ ინტერნაციონალიზაციასა და მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული დამატებითი სერვისების დახვეწასთან.

რაც შეეხება რისკებს, გაანალიზდა საგანმანათლებლო ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემო, ბაზარზე დამკვიდრებასთან დაკავშირებული გამოწვევები და მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგთა კორპუსის შენარჩუნებასა და შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები.

სტრატეგია წარმოდგენილია გეგმის სახით, რომელიც აერთიანებს სტრატეგიულ მიმართულებებს, მიზნებს, მის მისაღწევად განსაზღვრულ ამოცანებს, ინდიკატორებს, დადასტურების წყაროებსა და სტრატეგიული მიზნების მისაღწევად დაგეგმილ ვადებს.

სტრატეგიული მიზნების მისაღწევად უზრუნველყოფილი იქნება ყოველწლიური სამოქმედო გეგმების შემუშავება და ასევე განხორციელდება მათი შესრულების მონიტორინგი.

დაგეგმილია სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი და შეფასება, რომლის ფარგლებშიც უნდა შეფასდეს, ერთი მხრივ, რამდენად სრულდება დაგეგმილი აქტივობები შესაბამისი ამოცანების მისაღწევად, ხოლო, მეორე მხრივ, საშუალო ვადის (სამი წელი) გასვლის შემდეგ, ასევე შეფასდება რამდენად სწორადაა განსაზღვრული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად განსაზღვრული ამოცანები.

შესაბამის ანგარიშებზე, ასევე, სტრატეგიის დაგეგმვისას წინასწარგაუთვალისწინებელ ფაქტორებზე დაყრდნობით (საკანონმდებლო ცვლილებები ან/და სხვა ახალი გარემოებები, ახალი შესაძლებლობები და გამოწვევები), ცვლილება როგორც სტრატეგიულ, ისე სამოქმედო გეგმაში შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ დროს.

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

სკოლის მისიაა - მოამზადოს მაღალინტელექტუალური, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი, ეროვნული, დემოკრატიული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე თავისუფალი პიროვნება, გამოკვეთილი უნარებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით, რომელიც სწავლის გაგრძელების მიზნებისათვის კონკურენტუნარიანია როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

სკოლის ხედვაა - საგანმანათლებლო სივრცეში დაიკაოს ღირსეული ადგილი გაცხადებული სპეციფიკის შესაბამისად და წვლილი შეიტანოს ადამიანური კაპიტალის განვითარებაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების დარგში, შესაბამისი დისციპლინების გაძლიერებული სწავლებით.

ხედვის შესაბამისად, მაქსიმალური შედეგების მისაღწევად, 2029 წლიდან სკოლა გეგმავს მიზნობრივი ინტერვენციების დაგეგმვასა და განხორციელებას ბავშვის განვითარების ადრეული ასაკიდან, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურიდან.

ორგანიზაციის ღირებულებებია:

- ინოვაციის გზით სვლა;
- სწრაფვა სრულყოფილებისკენ;
- პიროვნების თავისუფალი განვითარება სწავლის საშუალებით;
- გლობალური მოქალაქეობა.

სტრატეგიული მიმართულება I - სასწავლო პროცესის და სასკოლო სერვისების განვითარება

სკოლა, როგორც ახალი დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულება პირველ წელს გეგმავს, სწავლება განახორციელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის“ III მოდელის საათობრივი ბადით, რომელიც ითვალისწინებს საათების გაზრდილ რაოდენობას ბიოლოგიის, ფიზიკისა და ქიმიის საგნებში, ასევე, ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში.

ამასთან, ფუნქციონირების პირველივე წლიდან სკოლა ორიენტირებულია განაგრძოს მუშაობა კურიკულუმის განვითარების მიმართულებით და მოიპოვოს გაძლიერებული სწავლების სტატუსი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და ტექნოლოგიებში.

სკოლა, როგორც მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული ორგანიზაცია, მუდმივად სწავლობს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას, გეგმავს მის სასკოლო გარემოში დანერგვასა და კურიკულუმის ინტერნაციონალიზაციას. ამ მიზნით, სკოლა ეტაპობრივად უზრუნველყოფს თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურის ადაპტირებას, სკოლის პროფილის გათვალისწინებით, და კურიკულუმში დისციპლინის შესაბამისი უცხოენოვანი სწავლების დანერგვას.

მაღალი ხარისხის შენარჩუნების მიზნით, დაგეგმილია სასკოლო სასწავლო გეგმის ეფექტიანობის შეფასება ყოველწლიურად, სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით, და შეფასების შედეგების გათვალისწინება კურიკულუმის განვითარების პროცესში.

სტრატეგიული მიმართულება II. ინსტიტუციური განვითარება

სკოლა მიზნად ისახავს შიდა ორგანიზაციული მართვისათვის პროცედურული ჩარჩოს სრულყოფას. ამ მიზნის მისაღწევად დაგეგმილია გარკვეული პროცესების ავტომატიზაცია, ელექტრონული საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვა. პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ნაწილში, ზოგადი პროფესიული განვითარების კვალდაკვალ, მაქსიმალურად მოხდება ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენა და პერსონალის განვითარება, რაც უზრუნველყოფს სკოლის სტრატეგიული გეგმით დასახული ამოცანების დროულად და ეფექტიანად განხორციელებას. ორგანიზაციული მართვის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, ინფორმირებული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად, სკოლა შეიმუშავებს მონიტორინგისა და შეფასების სისტემასა და შესაბამის მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც გაიზომება სკოლის მიღწევები, როგორც საშუალოვადიან, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში.

ერთ-ერთი სტრატეგიული ამოცანაა თანამშრომლობა ადგილობრივ უნივერსიტეტებთან, რომლებიც ახორციელებენ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებს. თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდება, ერთი მხრივ, სკოლის თანამშრომლებისათვის პროფესიული ღონისძიებიბის დაგეგმვა, ხოლო, მეორე მხრივ, უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის პრაქტიკის გავლის შეთავაზებით, შესაძლებელი იქნება პოტენციური ახალი კადრების მოძიება. უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა ასევე დაგეგმილია სკოლის გაცხადებული სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაბამისი სწავლის სფეროების ფარგლებშიც. ამასთან, ამ ეტაპზე, სკოლა აწარმოებს პირდაპირ მოლაპარაკებებს დარგობრივ ორგანიზაციებსა და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან შემდგომი თანამშრომლობის მიზნით, რათა მოსწავლეები გაეცნონ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზების სადემონსტრაციო მაგალითებს.

სტრატეგიული მიმართულება III. სასკოლო კამპუსის განვითარება

სკოლა გეგმავს ახალი სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარებას შემდეგი მიზნებიდან გამომდინარე: მოსწავლეთა კონტიგენტის გაზრდა ზოგადი განათლების იმ საფეხურების ფარგლებში, რომლებზე სწავლების უფლებასაც მოიპოვებს პირველი საავტორიზაციო წარმოების შედეგად; ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლების უფლების მოპოვების მიზნით; დამატებითი სივრცეების განვითარების მიზნით, მათ შორის, საერთაშორისო დონის სასკოლო ღონისძიებების ორგანიზებისა და ჩატარებისათვის; ასევე, ისეთი სპორტული ინფრასტურქტურის განსავითარებლად, რომელიც სკოლას მისცემს მრავალი სახეობის სპორტული გაკვეთილებისა თუ ღონისძიებების გამართვის შესაძლებლობას და რომლის მოდელებიც მოკვლეული და განსაზღვრულია სკოლის მიერ.

სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ტექნოლოგიური) სკოლის კამპუსში უნდა იყოს გაძლიერებული მიმართულების სწავლებისთვის და იგივე მიმართულებების ექსტრაკურიკულური ღონისძიებების მოწყობისათვის შესაბამისი ლაბორატორიული, საკონფერენციო, სამუშაო სივრცეები, რომელიც უზრუნველყოფს მსგავსი ღონისძიებების განხორციელებას საერთაშორისოდ დადგენილი სტანდარტების მიხედვით.

სკოლის ახალი კამპუსისათვის წინასწარ შერჩეული უძრავი ქონების (მიწის) სტატუსის დაზუსტებისა და საკუთრების საკითხების გადაწყვეტის შემდგომ, სკოლა გეგმავს კამპუსის სრულფასოვანი პროექტის შემუშავებას და პროექტის ეტაპობრივად განხორციელებას, რისთვისაც მომზადებულია საჭირო ფინანსური-მატერიალური რესურსების პირველადი შეფასება და მობილიზების სქემა.

სტრატეგიული მიმართულება I		**სასწავლო პროცესის და სასკოლო სერვისების განვითარება**					
მიზანი		**განვითარებაზე ორიენტირებული სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება**				**გასათვალისწინებელია სკოლის მისია, სპეციფიკა, ესგ-თან თავსებადობა**	
ამოცანა		აღწერილობა	შესრულების ინდიკატორი	დადასტურების წყარო	განხორციელების ვადები	დაფინანსების წყაროები	
						სკოლის ბიუჯეტი	სხვა წყარო
1	სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სკოლის სპეციფიკას	1. სთავაზობს მოსწავლეებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების გაძლიერებულ სწავლებას. 2. კურიკულუმში დაცულია ბალანსი ძირითად და გაძლიერებულ სწავლებას შორის 3. გათვალისწინებულია მოსწავლის ნორმალური დატვირთვა 4. სკოლა აღჭურვილია შესაბამისი რესურსებით	სკოლის მიერ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების გაძლიერებული სწავლების სტატუსის მოპოვება	სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება	2024-2026	√	
2	კურიკულუმის ინტერნაციონალიზაცია	1. სასკოლო სასწავლო გეგმის ფარგლებში შესაბამისი კარგი საერთაშორისო პრაქტიკისა და სტანდარტების გაზიარება სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით 2. თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურის ადაპტირება 3. კურიკულუმში დისციპლინის შესაბამისი უცხოენოვანი სწავლების ეტაპობრივი დანერგვა	სასკოლო კურიკულუმი და სწავლის შედეგები დაახლოებულია და ითვალისწინებს საერთაშორისოდ აღიარებული სასწავლო გეგმების მოთხოვნებს	1. განახლებული კურიკულუმი გაიზარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და ორიენტირებულია მოსწავლეთა საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე. 2. კურიკულუმმა მოიპოვა საერთაშორისო აკრედიტაცის (მივუთითოთ სასურველი)	2025-2029	√	

3	სასწავლო გეგმის მონიტორინგი და შეფასება	1. თვითშეფასებაზე დაყრდნობით სსგ-ს ეფექტიანობის ყოველწლიური შეფასების დანერგვა 2. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და განვითარების პროცესში სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა 3.შეფასების შედეგების გამოყენება შემდგომი განვითარების პროცესში	სკოლას შემუშავებული და დანერგილი აქვს კურიკულუმის ყოველწლიური შეფასებისა და მონიტორინგის სისტემა	კურიკულუმის განვითარება ხდება შეფასების შედეგების მიხედვით.	2024	√	

სტრატეგიული მიმართულება II		ინსტიტუციური განვითარება					
მიზანი 1		**ადამიანური რესურსების განვითარება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის კონცეფციის სრულფასოვნად განსახორციელებელად**				**გასათვალისწინებელია სკოლის პერსონალის მზაობის დონე**	
ამოცანა		აღწერილობა	შესრულების ინდიკატორი	დადასტურების წყარო	განხორციელების ვადები	დაფინანსების წყაროები	
						სკოლის ბიუჯეტი	სხვა წყარო
1	მასწავლებელთა კომპეტენციების გაძლიერება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით	1. სკოლის მიერ განისაზღვრება სპეციალური პროფესიული განვითარების ღონისძიებები პედაგოგებისთვის. 2. კომპეტენციათა მდგრადობის შესანარჩუნებლად, სკოლის მიერ განისაზღვრება ღონისძიებების ჩატარების პერიოდულობა და სიხშირე. 3. ამოქმედდება მასწავლებელთა კომპეტენციების გაძლიერებაზე ორიენტირებული ღონისძიებების შედეგების შეფასების მექანიზმები.	სკოლაში მუდმივად იქნება მიმართულების შესაბამისად მომზადებული ჯგუფი, რომელიც შეფასებაზე დაყრდნობით იზრუნებს პედაგოგთა კორპუსის განვითარებაზე	მონიტორინგისა და შეფასების შედეგები, მათ შორის, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის შეფასების შედეგები	2023-2029	√	
2	მშობელთა კომპეტენციების გაძლიერება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით	1. სკოლის მიერ განისაზღვრება მშობელთა როლი 2. სკოლის მიერ განისაზღვრება მშობელთა მიზნობრივი მონაწილეობის მექანიზმები და დაიგეგემება შესაბამისი ღონისძიებები	სკოლას ჩამოყალიბებული აქვს მშობლებთან მიზნობრივი კომუნიკაციის სტრატეგია და მექანიზმები, მათ შორის, უკუკავშირის მიღებისა და შეფასებისათვის.	მონიტორინგისა და შეფასების შედეგები, მათ შორის, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის შეფასების შედეგები	2023-2029	√	

მიზანი 2		**მიზნობრივი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა**				**გასათვალისწინებელია სკოლის პერსონალის მზაობის დონე**	
ამოცანა		აღწერილობა	შესრულების ინდიკატორი	დადასტურების წყარო	განხორციელების ვადები	დაფინანსების წყაროები	
						სკოლის ბიუჯეტი	სხვა წყარო
1	პერსონალის ციფრული უნარების განვითარება	1. დაკისრებული მოვალეობების შესრულებისათვის საჭირო ციფრული უნარების განვითარება დაწესებულებაში არსებული ციფრული ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენებისათვის	დაწესებულების პერსონალი სრულყოფილად და ეფექტურად იყენებს დაწესებულებაში არსებულ ციფრულ ტექნოლოგიებს	მონიტორინგისა და შეფასების შედეგები, მათ შორის, ციფრული უნარების შეფასების შედეგები	2023-2029	√	
2	მასწავლებელთა პედაგოგიური და საგნობრივი უნარების განვითარება	1. სავალდებულო პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებები (საგნის სწავლების მეთოდიკა, რესურსებისა და ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება). 2. თვითშეფასებზე დაფუძნებული, საჭიროებიდან გამომდინარე, მიზნობრივი პროფესიული განვითარება.	მასწავლებელთა კვალიფიკაციის გაუმჯობესება აისახა მოსწავლეთა სწავლის შედეგებში - მაღალი და საშუალო მოსწრების მოსწავლეთა წილი 80% და მეტია.	მონიტორინგისა და შეფასების შედეგები, მათ შორის, სასწავლო პროცესის და სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი	2023-2029	√	
მიზანი 3		**ორგანიზაციული განვითარება**				**გასათვალისწინებელია ორგანიზაციული განვითარებისათვის საჭირო რესურსების დაგეგმარება**	
ამოცანა		აღწერილობა	შესრულების ინდიკატორი	დადასტურების წყარო		დაფინანსების წყაროები	

					განხორციელების ვადები	სკოლის ბიუჯეტი	სხვა წყარო
1	პროცესების ავტომატიზაცია	1. სკოლის მართვის პროცესში ელექტრონული, მათ შორის, ავტომატიზებული პროცესების გამოყენება	სრულად დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის, ასევე, ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ელექტრონული მართვის მოდელი	ელექტრონული საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სისტემები	2023-2025	√	
2	ინსტიტუციური თანამშრომლობა	1. სკოლა ითანამშრომლებს ადგილობრივ უნივერსიტეტებთან/სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან მასწავლებელთა კვლევითი კომპეტენციების განვითარების, კურიკულუმის სწავლის შედეგების განსაზღვრის, ასევე მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებისა და სამომავლოდ ამ პროგრამის კურსდამთავრებულთა რეკრუიტირების მიზნით.	უნივერსიტეტ(ებ)თან/სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან ოფიციალურად დამყარებულია თანამშრომლობითი ურთიერთობები	მონიტორინგისა და შეფასების შედეგები, მათ შორის, თანამშრომლობის ეფექტიანობის შეფასება	2024-2029	√	
3	ინფორმირებული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება	1. სკოლა განსაზღვრავს საქმიანობის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას და შეიმუშავებს სისტემას, რომლის ფარგლებშიც ადგენს სამიზნე ინდიკატორებს, რომელთა მიღწევაც დაკავშირებულია როგორც მიმდინარე, ასევე წინამდებარე სტრატეგიული	დანერგილია მონიტორინგისა და შეფასების სისტემა და შესაბამისი მექანიზმები, როგორც საშუალოვადიანი, ასევე გრძელვადიანი საქმიანობის შეფასებისთვის	სკოლას ყავს მონიტორინგისა და შეფასების სპეციალისტი, რომელიც კოორდინირებას უწევს მონიტორინგისა და შეფასების პროცესს	2024	√	

		გეგმით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულებასთან.					

სტრატეგიული მიმართულება III		**სასკოლო კამპუსის განვითარება**					
მიზანი		**ახალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება**				**გასათვალისწინებელია ახალი კამპუსის განვითარებისათვის საჭირო 5000 კვ.მ. უძრავი ქონების (მიწის) სტატუსის დაზუსტების და სკოლის საკუთრებაში გადაცემის საკითხი**	
ამოცანა		აღწერილობა	შესრულების ინდიკატორი	დადასტურების წყარო	განხორციელების ვადები	დაფინანსების წყაროები	
						სკოლის ბიუჯეტი	სხვა წყარო
1	ახალი უძრავი ქონების მობილიზება	1. წინასწარ შერჩეული მიწის ნაკვეთის სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება 2. სტატუსის დაზუსტების შემდგომ, უძრავი ქონების სკოლის საკუთრებაში გადაცემის საკითხის მოგვარება	5000 კვ.მ უძრავი ქონების მესაკუთრეა სკოლა	უძრავი ქონების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი	2024-2025	√	
2	ახალი კამპუსის პროექტირება	პროექტი მოიცავს, როგორც ძირითად საგანმანათლებლო კორპუსსა და კურიკულუმით გათვალისწინებულ სივრცეებს გაძლიერებული მიმართულების სწავლებისთვის, ასევე იგივე მიმართულებების ექსტრაკურიკულური ღონისძიებებისათვის, მათ შორის, ლაბორატორიულ, საკონფერენციო, სამუშაო სივრცეებს, რომელიც ითვალისწინებს მსგავსი ღონისძიებების განხორციელებას საერთაშორისოდ დადგენილი სტანდარტების მიხედვით. ასევე, ისეთი სპორტული ინფრასტურქტურის განვითარებას, რომელიც სკოლას	შედგენილია კამპუსის პროექტი, განსაზღვრულია განვითარების ეტაპები	სკოლის მიერ დამტკიცებული პროექტი	2025-2026	√	

		მისცემს მრავალი სახეობის სპორტული გაკვეთილებისა თუ ღონისძიებების გამართვის შესაძლებლობას.					
3	ახალი კამპუსის ფიზიკური ინფრასტრუქტურის განვითარება	დამტკიცებული პროექტისა და ინფრასტრუქტურის განვითარების განსაზღვრული ეტაპების მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების განხორციელება	პირველი ეტაპის სამუშაოები დასრულებულია, რაც მოიცავს ძირითად საგანმანათლებლო კორპუსსა და კურიკულუმით გათვალისწინებულ სივრცეებს გაძლიერებული მიმართულების სწავლებისთვის	მომზადებულია საავტორიზაციო განაცხადი ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლების უფლების მოსაპოვებლად და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გასაზრდელად	2026-2029	√	